5.03.2014
იუსტიციის სამინისტრო

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის

მესამე შეხვედრის ოქმი

ოქმი მომზადებულია ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული კოორდინატორის, ქეთევან ცანავას მიერ

1. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- სიახლეები იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ღია მმართველობა საქართველოს ბანერის შესახებ.
- არასამთავრობო ორგანიზაციების[1] მიერ ერთობლივად შემუშავებული **საჯარო კონსულტაციების გამართვის გეგმის** წარდგენა, განხილვა.
    - კონსულტაციებთან დაკავშირებულ გეგმაზე შეთანხმება.
- ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ახალი წევრების წარდგენა.
    - საქართველოს მთავრობის კანცელარია
    - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
    - თავდაცვის სამინისტრო
    - შინაგან საქმეთა სამინისტრო
    - ცენტრალური საარჩევნო კომისია
    - თბილისის სააპელაციო სასამართლო
    - დემოკრატიული მმართველობა - UNDP საქართველო
    - ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
    - განსახილველი - ფონდი „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“
- ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმის პირველადი ვერსიის წარდგენა
- სამომავლო გეგმებზე შეთანხმება.

[1] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, ჯამპსტარტ საქართველო, ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი.

2. ღია მმართველობა საქართველოს ბანერი იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე

იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა რუსუდან მიხელიძემ ფორუმის წევრებს წარუდგინა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ღია მმართველობა საქართველოს ბანერი. ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო მუშაობს ვებგვერდზე დამატებითი ინფორმაციის ეტაპობრივად განთავსებაზე. ვებგვერდზე გახსნილია საკონტაქტო ველი, რომლის გამოყენებით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია გაეცნოს ღია მმართველობა საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა საჭირო დოკუმენტს და მიაწოდოს სამდივნოს თავისი იდეები, მოსაზრებები თუ რა შეიძლება დაემატოს ახალ სამოქმედო გეგმას, ან რა საჭიროებს ცვლილებას.

3. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთობლივად შემუშავებული საჯარო კონსულტაციების გამართვის გეგმის წარდგენა, განხილვა.

ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში მთავრობის მიერ, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს კოორდინაციით, დაიგეგმა საჯარო კონსულტაციები საქართველოს მასშტაბით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ფორუმის შეხვედრაზე 6 არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ერთობლივად შემუშავებული ზოგადი რეკომენდაციები წარადგინა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორმა გიორგი კლდიაშვილმა. რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა კონსულტაციების ფარგლებში და მის შემდგომ ღია მმართველობა საქართველოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ქ–ნ მარიამ სხილაძემ ფორუმის წევრებს შესთავაზა მედიის წარმომადგენლებთან, როგორც ცალკე ფოკუს ჯგუფთან, აქტიური თანამშრომლობა, ვინაიდან სწორედ ეს ჯგუფი აწოდებენ ინფორმაციას საზოგადოებას, შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისინი ინფორმირებულნი იყვნენ ღია მმართველობა საქართველოს პროცესების შესახებ.

კონსულტაციებთან დაკავშირებული განხილვის ფარგლებში გამოითქვა რამდენიმე იდეა:

- NDI–ის წარმომადგენლის მოსაზრებით, საჭიროა შეიქმნას კითხვარი გეგმით გასათვალისწინებულ კონკრეტულ საკითხებზე, რომელიც გამოყენებულ იქნება შეხვედრების დროს და რომელთა დამუშავება და გაანალიზება მოხდება კონსულტაციების დასასრულს.
- კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ სასურველია სამოქმედო გეგმის პროექტი განთავსდეს მაცნეზე კომენტარებისთვის.
- USAID-ის წარმომადგენლებმა ფორუმს შესთავაზეს კონსულტაციების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების ნაწილი გაიმართოს USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებში; აღნიშნული საქართველოს 10 სხვადასხვა ქალაქში ფუნქციონირებს.

- კონსულტაციების საზოგადოებრივი ჩართულობის ცენტრებში გამართვის სურვილი გამოთქვა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომაც.
- რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებით საჭიროა დაიგეგმოს გადაცემები ღია მმართველობის შესახებ, რაც აამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას მთავრობის მიერ ღია მმართველობის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა და ზოგადად, ღია მმართველობის პარტნიორობის შესახებ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლის სულხან სალაძის მოსაზრებით, უმჯობესი იქნება ჯერ დასრულდეს საჯარო კონსულტაციები, რათა მოსახლეობამ მეტ-ნაკლებად შეიტყოს OGP–ის შესახებ, რაც შექმნის ფონს და როგორც ტელევიზიების, ასევე სხვადასხვა გადაცემების მაყურებელთა ინტერესს, შემდეგ კი დაიგეგმოს გადაცემები, რათა მათი რეიტინგი უფრო მაღალი იყოს.
- ფორუმის გადაწყვეტილებით, კონსულტაციების ფარგლებში საჯარო დაწესებულებისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეხვედრაში მონაწილე მოქალაქეებს გააცნობენ 2014–2015 წლების სამოქმედო გეგმის არსებულ ვერსიას და შეკრებენ მათ იდეებსა და მოსაზრებებს იმის შესახებ თუ რა შეიძლება დაემატოს გეგმას, რა უნდა შეიცვალოს ან რა მიმართულებით უნდა განვითარდეს იგი. ფორუმის ფარგლებში გამართული განხილვის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი საკითხი, რომელზეც მნიშვნლოვანია ყურადღება გამახვილდეს საჯარო კონსულტაციების ფარგლებში.
- ფორუმის წევრები საჭიროდ მიიჩნევენ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გამართული თითოეული შეხვედრის შესახებ შედგეს დოკუმენტი, რომელიც ასახავს შეხვედრაზე განხილულ თემებს, საზოგადოების მოსაზრებებს, იდეებსა და კომენტარებს სამოქმედო გეგმის პროექტთან დაკავშირებით.
- ფორუმის წევრთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კონსულტაციებში მაქსიმალურად უნდა ჩაერთონ ადგილობრივი თვითმმართველობები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიის წარმომადგენლები, სტუდენტები, პროფესორ–მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები.
- თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენელმა გამოთქვა სურვილი უმასპინძლოს ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციების ფარგლებში გასამართ ერთ–ერთ შეხვედრას, მაგალითად, შეხვედრას საჯარო მოხელეებთან.

ფორუმის შეხვედრაზე რამდენიმე სახელმწიფო უწყება და არასამთავრობო ორგანიზაცია შეთანხმდა დროებითი ვიწრო სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც დაგეგმავს და უშუალოდ განახორციელებს ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციებს. შეთანხმდა ვიწრო სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის თარიღი (7 მარტი, 11:00 საათი).

მთავრობის მიზანია საჯარო კონსულტაციების ფარგლებში საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია მომდევნო 2 წლის მანძილზე მთავრობის მიერ დაგეგმილი იმ ღონისძიებების შესახებ, რაც გამჭვირვალე და ღია მმართველობის უზრუნველყოფას ემსახურება. გარდა ამისა, შეხვედრების მიზანია საზოგადოების მოსაზრებების, იდეების შეკრება, რათა მთავრობის სამოქმედო გეგმა შემუშავდეს საზოგადოების აქტიური ჩართულობით და მასში გაწერილი ღონისძიებები პასუხობდეს და შეესაბამებოდეს მოქალაქეთა საჭიროებებს.

4. ფორუმის ახალი წევრების წარდგენა

ფორუმის შემადგენლობას დაემატა რამდენიმე საჯარო დაწესებულება და არასამთავრობო ორგანიზაცია (იხ.გვ.1).

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ფორუმს გააცნო უწყების რამდენიმე გეგმა, რომლის ასახვაც ღია მმართველობა საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში მიზანშეწონილად მიაჩნია. შსს–ს მიერ წარდგენილ ინიციატივათა უმრავლესობა მოწონებულ იქნა, შესაბამისად, ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე: შსს ოფიციალურად წარუდგენს ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს ვალდებულებებს ახალ სამოქმედო გეგმაში ჩასადებად.

ღია მმართველობასთან დაკავშირებულ რამდენიმე ინიციატივაზე ისაუბრა ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა. კომისიის გეგმა უკავშირდება მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო უფლებების შესახებ. შსს-ს მსგავსად, ცენტრალური საარჩევნო კომისიაც გეგმავს ჩაერთოს ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებელი უწყება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ისაუბრა მის ხელთ არსებული სტატისტიკის დამუშავებასა და ვებგვერდზე გამოქვეყნებაზე, რაც, მათი მხრიდან, შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორც ახალ სამოქმედო გეგმაში ჩასადები ერთ-ერთი ვალდებულება.

ფორუმმა განიხილა ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ მომართვა ფორუმში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ფორუმის წევრთა ნაწილი ვერ ხედავს ფონდის საქმიანობის სფეროს კავშირს ღია მმართველობასთან, ფორუმის წევრთა უმრავლესობის აზრით, ფონდის ფორუმში გაწევრიანებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, სასურველია, ფონდის წარმომადგენლები დაესწრონ მორიგ შეხვედრას და წარადგინონ ის ინიციატივები, რომელიც მათი მოსაზრებით პასუხობს ღია მმართველობის პარტნიორობის გამოწვევებს და შესაძლებელია აისახოს საქართველოს ახალ სამოქმედო გეგმაში.

4. სამოქმედო გეგმის არსებული ვერსიის წარდგენა

შეხვედრის მეორე ნაწილში ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ წარადგინა სამოქმედო გეგმის არსებული ვერსია, რომლის ფარგლებშიც ახალი ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ იუსტიციის სახლს, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო სამსახურის ბიუროს, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.

4. ფორუმი შეთანხმდა შემდეგზე:

1. ფორუმის წევრებისგან შემდგარი ვიწრო სამუშაო ჯგუფი გამართავს შეხვედრას ღია მმართველობა საქართველოს 2014 წლის საჯარო კონსულტაციების დაგეგმვის მიზნით და კონსულტაციების შესახებ მოკლე ანგარიშს წარადგენს ფორუმის მომდევნო შეხვედრაზე;
2. შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოს მიაწოდებენ ვალდებულებებს ახალ სამოქმედო გეგმაში ჩასადებად;
3. საჭიროების შემთხვევაში, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნო ინდივიდუალურ შეხვედრებს გამართავს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან და თბილისის სააპელაციო სასამართლოსთან;
4. ფორუმის მორიგი შეხვედრა გაიმართება 2 აპრილს 11:00 საათზე, იუსტიციის სამინისტროს პირველ სათათბირო დარბაზში.

10. ფორუმის შეხვედრას ესწრებოდნენ:

იუსტიციის სამინისტრო	რუსუდან მიხელიძე, ქეთევან ცანავა, ნატალია ბარათაშვილი, მარიამ სხილაძე
სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ირაკლი გვენეტაძე
სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ნანა წიკლაური
სსიპ იუსტიციის სახლი	ირაკლი ლომიძე
საჯარო სამსახურის ბიურო	ირინა აღაპიშვილი, თამთა ცოცხალაშვილი
მთავრობის კანცელარია	ვახტანგ ბაჩიაშვილი
კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ნოდარ ხერხეულიძე, მანანა შურღულაია, გიორგი ლაცაბიძე
თბილისის სააპელაციო სასამართლო	თამარ ერგემლიძე, უჩა თოდუა
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი	ვასილ ჯიჭონაია

განვითარების სამინისტრო	
ცესკოს სწავლების ცენტრი	ნათია ზაალიშვილი
საქართველოს პარლამენტი	ლიკა საჯაია
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	დიანა ჩომახაშვილი
საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური	ზურაბ აზნაურაშვილი
ფინანსთა სამინისტრო	ნინო წიქორია
შინაგან საქმეთა სამინისტრო	სერგო თურმანიძე, კონსტანტინე ელიზბარაშვილი
USAID საქართველო	ლინა პანტელეევა, ლუიზა მაკაროვა
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	სულხან სალაძე
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო	ლაშა გოგიძე, თამარ გზირიშვილი, ერიკ ბარეტი
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი	გიორგი კლდიაშვილი, სალომე ჩუხუა
ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო	ვაკო ნაცვლიშვილი
UNDP	გიგი ბრეგაძე
ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)	ნინო ვარდოსანიძე